№ 196. 19 სეკტემბერი, კვირა. 1866—1882 19 სეკტემბერი, კვირა. № 196.

რედაქცია

... თ. ი. მუხრანსკის სახლში ... ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუ... ჭყონიის (ვერხიდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ... ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთი წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ნახევარ წლისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

... სტრიქონი, ასოზე 1 კაპ. ... ასოზე ნახევარი კაპ., ... ზე 8 კაპ.

თუ ხელნაწერს მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს ... წერილებს. ... წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭყონიის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

კაირი (ეგვიპტე), 17 ენკენისთვეს. გუშინ, აფიცრების დოღის დროს, რკინის გზის გაგზალზე სამხედრო მასალებმა (თოფის წამალმა) იფეთქა და ამისაგან 30 კაცი დაიხოცა. ამბობენ, წამალმა მომეტებულის სიცხისაგან იფეთქაო. რკინის გზის გაგზალსაც წაეკიდა ცეცხლი.

პეტერბურღი, 17 ენკენისთვეს. გამოვიდა უმაღლესი განკარგულება, რომლის ძალითაც, ვისაც სამხედრო სასწავლებლებში შესვლა სურს, ეგზამენიებზე თავის ფოტოგრაფიული სურათიც უნდა წარმოადგინოსო.

მოსკოვი, 17 ენკენისთვეს. სულ ...რმოცი პროექტია წარდგენილი მიცვალებულის იმპერატორის ძეგლისა. ...გრამ საყურადღებო არც ერთი არ ...რის.

გუბერნიის სათემო გამგეობათ (ზემსტვოს უპრავა) წინადადება მიეცათ, ...თემო კრებებში შეიტანონ პროექ...ტი გლეხებისათვის ბანკების დაარსე...ბის.

კაირი, 17 ენკენისთვეს. გუშინ აი...ლექსანდრიის გაგზალთან რკინის გზის მატარებელი, რომელიც ინგლისის სამხედრო მასალებით იყო დატვირთული, ... დიდი ზარალია. ამბობენ, განგებ ...უკიდეს ცეცხლიო.

პრესბურღი, 17 ენკენისთვეს. გუშინ ...რამოს აქაურებს და ებრაელებს შორის შეტაკება მოხდა. არეულობა ჯარებით დაამშვიდობეს; ორმოცი კაცია ამ საქმის გამო დატუსაღებული; მთავრობამ ზომები მიიღო, რომ ამისთანა უწესოება კვლავ აღარ მოხდეს.

**პეტერბურღის ბირჟა, 17 სეკტემბ.**

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 94 — | 62 1/2 |
| მეორესი — — — — | 91 — | 62 |
| მესამესი — — — — | 91 — | 50 |
| მეოთხესი — — — | 90 — | 25 |
| მეხუთესი — — — | 90 — | „ |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89 — | 75 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89 — | 37 |
| აღმოსავლეთის მესამე | 89 — | 62 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 8 — | 19 |

შინაგანის 5% სესხის ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 212 — | 50 1/2 |
| მეორე სესხის — — | 205 — | 25 |

100 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — | 24 — | 9 | პენსი |
| ჰამბურღი — | 205 — | 50 | ცენტი |
| პარიჟი — — | 253 — | 50 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — | „ | პფენიგი |

## შენიშვნა

გასულ 24 აგვისტოს მე საინგილოდგან გამოვემგზავრე ტფილისისაკენ. მოვედი სიღნაღის ქალაქს. აქ დავრჩი ერთი დღე და ღამე. რადგან ახლოს ვიყავი საქართველოს განმანათლებელის წმ. ნინოს სობოროსთან, ვალდებულად ვცან თავი ჩემი თაყვანი მეცა ქართველ ხალხის ქრისტიანობრივი სარწმუნოებით განმანათლებელის საფლავისთვის. გავემგზავრე დილით ადრიანა, მივედი სოფ. ბოდბეში და მოვიარე არე-მარენი სახელოვანი წმიდანისა სავანისა.

მისთვის თაყვანის-ცემა, რასაკვირველია, არ არის დასაძრახისი, მაგრამ რომ არ მივსულიყავ, ის მერჩივნა. დიდებული ტაძარი თითქმის უპატრონოდ ვნახე, მშვენიერის თავის სამრეკლოთი ის გადაჰყურებს ალაზნის ველს, მაგრამ ძლიერ დაობლებულად. ერთ დროს აქ ბრწყინავდა ხუთასამდე ბერი თავის ცხოვრებით, ჰქონდა თავისი ზვარი, დიდი შემოსავალი, დიდი საზრდო; აქ ეკურთხებოდნენ კახეთის მთავარ-ეპისკოპოსნი; აქ ისხდნენ მიტროპოლიტნი, განაგებდნენ ქრისტეს ეკკლესიას; აქედგან მიტროპოლიტი იოანე ბოდბელი უვლიდა ინგილოებსაც; ის უგზავნიდა იმათ სააღდგომოთ, როგორც ამბობს პლ. იოსელიანი, 30 წმიდა სანთელს, და აზარებდა ურჯულოთა შორის დარჩენილ ქრისტიანებს—ინგილოებს აღდგომას; აქვე ეკურთხებოდნენ მეფენი კახეთის ტახტზე, ...თელი საქართველოს ხალხი შეჰყურებდა და შეჰფიფინებდა იმას, თაყვანსა სცემდა და სწირავდა თავის საარჩოს, რომ ბრწყინვალედ და დიდებულად ამყოფოს ტაძარი; აქ იყო ერთ დროს სკოლა და განათლებას იღებდნენ მომავალნი სამღვდელო პირნი და ჰქონდა დიდი ბიბლიოთეკა...

მაგრამ დღეს ყველა აოხრებულა და დარჩომილა უპატრონოთ. მის შემხედავს ქართველს თვალი ცრემლით ევსება, დუღს გული და ტირის მწარედ. ძველი, დიდებული დროის დიდება—კანტორამ იმას აჰყარა.

„ღვთის მეცა ყური მათხოვეთ,
ნინოს სასახლის ქვებო,
ვისაც გენახოთ, ეს ასრე
რადგული დაგედებათ.
ესე სოფელი ცუდია,
არვის არ გასთავდებათ,
ამის დიდება რომ მოკვდეს,
თქვენ ცეცხლი მოგედებათ".

ასრე წამოიძახა ჩემმა მოხუცმა მოგზაურმა ქართველმა, როცა შევიტყეთ, რომ აქ აღარ არის არც ერთი ბერი და კანტორის გარდაწყვეტილებით მხოლოდ სოფლის ორის მღვდლის ამარად დატოვებულია; როცა შევიტყეთ, რომ ყოველს დღეს წმიდა ნინოს საფლავზე პარაკლისი აღარ გადაიხდება.

ამაების მნახველმა და გამგონმა მოხუცმა ერთი ღრმად ამოიოხრა და დაიწყო მუსაიფი:

„— ეჰ მამაო, მამაო, სადღაა ახლა სასოება და სიყვარული ქრისტესი?! ის მხურვალე სარწმუნოება ხალხისა ახლა სადღაცა მიეფარა. დარჩნენ ეკკლესიანი უპატრონოდ, გაუქმდნენ მონასტერნი. წმიდა ნინოს საფლავს მოაკლდა ზოტიკე მღვდლის კანანახი. კანტორამ მოსპო ეს ყველაფერი, არ ვიცით რა სარგებლობისათვის. ჩემის ფიქრით, იმას არ კი უნდა გაეუქმებინა აქ მონასტერი, არამედ ცდილიყო უფრო გაებრწყინვებინა აქ ბერთა ცხოვრება, რადგან იგი არის დიდებული ტაძარი, საცა ასაფლავია ქართველთა განმანათლებელის გვამი.

---

«დროების» ფელეტონი, 19 სექტემბ.

### მამის-მკვლელი

(მოთხრობა*)

...მანი ამ მილოცვაში იყვნენ, რო...ც ნუნუსა და იაგოს კიდევ არ ...წყვეტოდათ ალერსი და ისევ მუ...ში და ტრფიალში იყვნენ. სწორედ იმ დროს, როდესაც იაგომ თა...ვ გადიხარა ნუნუს საკოცნელად და ...აც ალგზნებული ტუჩები გამოი...ა საპასუხოდ, მოისმა ხმაური...ა და რამდენიმე კაცი, ზირგოლას ...მძღოლმელობით ხლმებ მოწვდილ... გადმოცვივდნენ.

...გო წამოხტა და პირველისავე დამ...ს სროლით მიაწვინა იქავ ერთი ... მერე მოიკრა ხმალს ხელი და ...ნა მწარე და ფიცხელი ბრძოლა, ...მ რა გაუვიდოდა ერთს ოც-დაათამდინ კაცთან, რომლებიც ძაღლებსავით გარს ეხვეოდნენ.

დაიჭრა რამდენიმე კაცი ზირგოლას მხრით, თითონ იაგოსაც თქრიალით გასდიოდა სისხლი ჭრილობებიდგან, თუმცა არც ერთი ჭრილობა არა ჰქონდა იმას მძიმე და არ უშლიდა ბრძოლას, რადგანაც ხალხის სიმრავლე იფარავდა იმას; ყველას უნდოდა იმისი დარტყმა, ცხვეოდნენ ერთს ადგილს, ერთმანერთს უშლიდნენ ხლმის მოქნევას და მით იფარებოდა სიკვდილისგან მოხევეს, რომელიც ლომსავით ტრიალებდა იმათ შუა; მაგრამ აშკარად ეტყობოდა რომ სისხლის დაღვრასთან ერთად ღონეც თან-და-თან აკლდებოდა.

იმ დროს, როდესაც იმას თავს ბრუ დაესხა, თვალთ დაუბნელდა და წაქცევას ლამობდა, ერთბაშად მოისმა რამდენიმე თოფის ხმა და ზირგოლას კაცებთაგანი შვიდნი დაეცნენ ძირს, დანარჩენები კი შეცვივდნენ ტყეში, რადგანაც ამ მოულოდნელობამ გულები დაუხეთქათ.

ეს იყო კობა, ფარხო და იმათი ამხანაგები, რომელთაც გაეგონათ იაგოს დამბაჩის ხმა და ისე დროზედ მოშველებოდნენ ჯერედ უცნობს მეგობარს.

რა რომ ეს მოულოდნელი კომაგები დაინახეს ზირგოლას მომხრე ყაზახებმა, პირი გაიბრუნეს საჩქაროდ და შაერივნენ ტყეში, კობას ამხანაგებმა კი აიყვანეს გულ-შემოყრილი იაგო და თითონაც სიმაგრე მონახეს.

ნუნუ, რომელიც ბევრი ეძება კობამ, იქ ველარ იპოვა. რა ასე მარტოდ მომწყვედეული იაგო ნახა ზირგოლამ, იმის დაბოლოება ყაზახებს მიანდო და თითონ რამდენიმე კაცით—კი ნუნუ მოაშორა იმ ადგილს.

იმისთვის, რომ მკითხველებს აუხსნათ, თუ საიდგან გაჩნდა ასე მოულოდნელად ზირგოლა თავის ყაზახებით ჩვენ ცოტა უკან უნდა დავიხიოთ.

სტეფანწმინდას დიანბეგი იდგა სტანციის ერთს ოთახში და ღილებ გახსნილი, პერანგა განსვენებას ეძლეოდა, თუმცა ჯერ არ დასძინებოდა.

ზირგოლა, რომელიც იქვე ახლდა მოახსენებდა: თუ რამდენს ეძებდა იაგოს, რა განკარგულება მისცა იმის დასაჭერათ, ვინ იყო ცუდი და ბუნტი კაცი, როდესაც ერთი ოსი წყნარად შემოიპარა ოთახში და გამოიჭიმა კარებთან.

— ვინ არის ეგა? იკითხა დიანბეგმა.

— ტულა გახლავს შენი ჭირიმე, უპასუხა ზირგოლამ და მიუბრუნდა ოსს:—რაი ამბავი?

— იაგო ვიპოვენე.

— სადა? მიაძახეს დიანბეგმა და ზირგოლამ ერთად.

— ყუროს მთაში სანადიროდ ვიყავ, იქა ვნახე.

*) იხ. „დროება", № 194.

ქართველი ხალხი ამ განკარგულებამ ძლიერ შეაწუხა და შეაძრწუნა. ჯველას გული დაეჩაგრა, გაუტყდა და გაუგრილდათ ქრისტეს სარწმუნოებაზე და დაფრთხა ჭიზიყის ხალხი. მალოროდამ ეხლა სამმა თუ ოთხმა გლეხმა უარი ჰყო მართლმადიდებელ ეკკლესიაზე, მალაკნობა მიიღეს, დასახლდნენ პელმეჩვრის მალაკნებში და შეირთეს მათი ქალები. როდის მომხდარა საქართველოში უწინ ასრეთი საქმე? შეუძლებელი იყო მაშინ ასრეთი საქმე, ახლა კი ადვილი შეიქმნა . . . . . . . . კანტორა, რომელიც ვალდებულია, რომ ეკკლესიებს აშენებდეს და იცავდეს, ნაცვლად ამისა აუქმებს. ამის შემხედავი ხალხი მართლმადიდებლობაზე ხელს იღებს. ამის მიზეზი სულ ის არის, რომ ახლა გაუქმნდნენ მონასტერნი და ბერნი და მღვდელნი ალარას დასდევენ თავიანთ თანამდებობას. უწინ კახეთში 15 ეპარხია იყო, ახლა აღარ არის არც ერთი, იყო მრავალი მონასტრები, რომელთაც განათლებული წინამძღვარნი ჰყვანდათ, ახლა კი წმ. ნინოს სობოროსაც მოაკლდნენ ბერი და წინამძღვარი. აღარ ისმის აქედგან ხალხში ბერების დარიგება და წინამძღვრის ლოცვა-კურთხევა. უწინ ესენი იცავდნენ ჭიზიყში ქრისტიანობას, ახლა კი უმწყემსოთ არის დარჩენილი ჩვენი ხალხი და...“

აქ შევაწყვეტინე ლაპარაკი, „კმარა, კმარა“, ვუთხარი, ავდექი და წამოველ თავ-ჩაღუნული იმ მტკიცე განზრახვით, რომ შემეტყო ნამდვილად: მართლა გამალაკნდნენ მალაროელი ქართველები, როგორც მიამბო მოხუცმა ქართველმა? ჩვენდა სამწუხაროდ, მართალი აღმოჩნდა მართლმადიდებელ ეკკლესიაზე ხელის აღება ქართველთაგან. მაგრამ ის კი ვერ შევიტყე რა განკარგულება მოუხდენია ამის შესახებ კანტორას...

იმედია, ამის შემდეგ, როგორც გავიგე ჭიზიყში, თუ ასრე უწინამძღვროდ დარჩა წმ. ნინოს სობორო, ბევრი სხვაც ხელს აიღებს ჩვენს სჯულზე. სწორედ რომ მაშინ ნამდვილი იქნება კავკასიაში ქრისტიანობის აღდგინება!

მგზავრი დ. შამხალაშვილი.

16 სეკტემბერს.

---

## დღიური

---

მეტეხის ციხის მღვდლის მ. ი. ლომოურის თაოსნობითა და საზოგადოების თანაგრძნობით, ამ ერთი წლის წინათ, ზემოხსენებულ ციხის ტუსაღებისათვის გაიმართა ბიბლიოთეკა, რომელიც რაღა თქმა უნდა სარგებლობასა და თან შეღავათსაც აძლევს სატუსაღოში დამწყვდეულ ხალხს.

ახლა ჩვენ გვთხოვენ საქვეყნოდ გამოვაცხადოთ, რომ ამისთანა ნუგეშს მოკლებულნი არიან ჩვენი ქალაქის მეორე სატუსაღოის-გუბერნიის საპყრობილის—ტუსაღები; ბევრი მცირე წლოვანები არიან ამ სატუსაღოში, რომელთაც, წიგნები (ანბანები) რომ ჰქონდათ, შეეძლოთ წერა-კითხვის შესწავლაო; ბევრმა წერა-კითხვა იცის, მაგრამ წიგნება ვერ უშოვნიათ საკითხავათაო. ცენზურის კამიტეტმა და „ინგლისის სახარების საზოგადოებამ“ შემოსწირაო ამას წინათ რამდენიმ ევზემპლიარი სახარება, დავითნი და სხვა სასულიერო წიგნები, მაგრამ ეს წიგნები ტუსაღებმა რამდენჯერმე წაიკითხესო. თუ რამდენად სწყურიანთ ამათ კითხვა, იქიდამ მიხვდებითო, გვწერს ერთი იმ სატუსაღოს გარემოების კარგათ მცოდნე, რომ როდესაც „დროება“ და „კავკაზი“ მოუვათ ხოლმე, გაშმაგებულივით მოვარდებიან, ერთი კითხულობს და დანარჩენები, სულ-განაბულები ყურს უგდებენ და მერე დიდ ხანს აქეთ სჯა წაკითხულზეო. ერთი მაგალითი ვიციო, გვწერს ესვე პირი, რომ ერთმა ორმოცის წლის ტუსაღმა იმდენად შეისწავლა ქართული წერა-კითხვა, რომ მოკითხვის წიგნი მისწერა შინ თავის ცოლშვილს და ისეთ ნაირად გახარებული იყო, რომ მოშლებულის ალტაცებით ტიროდაო.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ როგორც მეტეხის სატუსაღო ბიბლიოთეკის თანამგრძნობნი აღმოჩნდნენ ჩვენში, ისე ამ მეორე ამ გვარივე კეთილი საქმის თანამგრძნობნი და ხელისმომმართავნი აღმოჩნდებიან.

მსურველს შეუძლიან გუბერნიის სატუსაღო ბიბლიოთეკისათვის წიგნები თუ ფული, წიგნების სასყიდლათ, გამოგზავნოს „დროების“ რედაქციაში, რომელიც შემწირველების სახელს თავის გაზეთში გამოაცხადებს და შეწირულ წიგნებს დაუყოვნებლად მიაწვდენს თავის დანიშნულებისა-მებრ.

* * *

თ-დი გრ. დ-მ. ორბელიანის იუბილეის შესახებ გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი შენიშვნა:

„ყოველის მხრიდამ მოგვდის ჩვენ წერილები და გვეკითხებიან—თუ როდის არის დანიშნული იუბილეი ჩვენი დამსახურებული პოეტის თ-დი გრიგოლ დიმიტრის-ძის ორბელიანისა; მაგრამ თავადი კი უარს ამბობს ამ იუბილეიში მონაწილეობის მიღებაზედ, ავად-მყოფობის გამო. იუბილეი ისეთის ალტაცებით მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ, რომ ჩვენ სრული იმედი გვაქვს, თავადი გრიგოლ დათანხმდება ამ დღესასწაულში მონაწილეობა მიიღოს მით უფრო, რომ „ავად-მყოფობა“ მხოლოდ მიზეზია უარის თქმისა, თორემ ბეჯითად ვიცით, რომ თავადი გრიგოლ ჯანმრთელად და მშვიდობით ბრძანდება.

ჩვენ გავიგეთ, რომ ირჩევენ კომიტეტს, რომელსაც მინდობილი ექნება იუბილეის გამართვა.

* * *

ბათომიდამ გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ დროს დაქინებულმა წვიმებმა ძალიან შეგვაწუხა და აქაურ მოსავალსაც დიდი ზარალი მისცაო.

იქიდამვე გვატყობინებენ, რომ აქაური გავლენიანი ბეგი აბაშიძე და ჰუსეინ-ბეგ ბექან-ოღლი ამ დღეებში პეტერბურღში წავიდნენ თავიანთ ადგილ-მამულების თაობაზედ საჩივლელადო.

* * *

სოფ. დიდ-ჯიხაიშიდამ (ქუთაისის მაზრისა) გვწერენ, რომ ამ დღეებში ორი ქართული წარმოდგენა იყო აქ გამართული და ორივეზე დიდის სიამოვნებით მოვიდა ხალხიო. მაგრამ შემოსავალი ამ წარმოდგენებისა თვითონ მონაწილეებმა გაიყვეს ერთმანეთში და არ მისცეს იმ მოსწავლეს (ილ. ლ—ძეს), რომლის სასარგებლოთაც აცხადებდნენ წარმოდგენის გამართვასაო.

* * *

ჩვენ გავიგეთ, რომ ჩვენი საოსტატო ინსტიტუტი ძრიელ სუსტად აქვარინებს ეგზამენს იმ გარეშე პირთ, რომელთაც სურთ იშოვონ სამოქალაქო სასწავლებელის ოსტატობის უფლება, და ეს თუ მართალია, ძრიელ მავნებელია ჩვენი შკოლებისათვისა, ვინაიდგან ეს პირნი შემდეგშიდ ხშირად ხდებიან მასწავლებელათ საპოც-შაგირდებიან კლასებისა და, თვითონ თუ არაფერი ეცოდინებათ, საწყალ შაგირდებს რას ასწავლიან. არ იქმნება ურიგო, რომ ინსტიტუტმა მიაქციოს ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება და მით დაუმტკიცოს საზოგადოებას მისი სინდისიანათ ვალის ასრულება.

* * *

იმ შენიშნვის თაობაზე, რომელიც „დროების“ № 184-ში იყო დაბეჭ-

---

— მარტოკა?

— არა, შენი ჭირიმე! იმასთან კობა გახლდათ და ერთი ყმაწვილი ქალი.

— ქალი? აღელდა ბირგოლა.

— ქალი, ჰო!

— ქალი ვინ იქნებოდა? იკითხა თავისთვის დიანბეგმა.

— რა მოგახსენოთ , აღელვებით უპასუხა ბირგოლამ.

— ვერ იცან? მიექცა დიანბეგი ოსს.

— როგორ არა შენი ჭირიმე. ბირგოლას რძალი იყო.

ამ სიტყვებზედ ბირგოლა გაფითრდა და მთლად აკანკალდა და გაბრუნდა.

— სად მიხვალ?

— უნდა ზედ შევაკვდე შენი ჭირიმე.

— აბა, მაშ ხალხი წაიყვანე.

— ხალხი არ გამოგვადგება, მიბძანეთ რუსის ყაზახები წავიყვანო.

— ხალხი რატომ არა?

— ისინი იაგოს არ დაიჭერენ, გაუშვებენ. ჩვენი ხალხი ძალლი ხალხია.

— მაშ ყაზახები წაიყვანე. აბა ჩქარა!.. ფიცხლო ცოცხლები დაიჭირო და თუ არ იქნა დაახოცვინე.

— ბატონი ბძანდები, უპასუხა ბირგოლამ, თუმცა გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ დაჭერის მაგივრად უეჭველად მოჰკლავდა იაგოს, რადგანაც ეს უფრო ადვილიც იყო და მკვდარი მტერი აღარც ისე საშიში იქნებოდა.

ბირგოლამ შეჰყარა ყაზახები, წაიყვანა თან ის ოსიც რომელმაც ანბავი მოიტანა და გასწია ხდეს, რათა ტყის თავი შაეკრა.

ეს ვეღარ მოახერხა, თუმცა ნახა იაგო, კობა და ნუნუ ტეში ჩასულები, რომელთაც ტულა გააყოლა სათვალ-თვალოდ და თითონ ყაზახებითკი იქ დაიმალა.

ტულა ჩაჰყვა იმათ ბინამდინ, მემრე გამოვიდა ბირგოლასთან და ისინი ერთად წყნარა და სიფთხილით თავს წაადგნენ შეყვარებულებს.

აი ეს იყო მიზეზი, რომ ბირგოლამ ისე მოულოდნელად შეიპყრო იაგო, მისცა ის სასიკვდინოთ შეუბრალებელს ყაზახებს და თითონ-კი რამდენიმე კაცით ქალი გააქცივა.

— არ გცოდნია პატივის ატანა და ეხლა მიყურე. უთხრა ბირგოლამ ქალს და რამდენჯერმე მათრახი გადაჰკრა.

ქალი რომელიც გაფითრებულიყო და არ იცოდა რა ექნა, შეკრთა ინსტიკტიურად თუმცა ვერც ხვეწნა გაიგონეს და ვერც ცრემლი დაინახეს იმის თვალზედ.

— ძაღლო, ძაღლო! უპასუხა ქალმა.—რომ მამკლა მაინც არ მეყვარები.

— არც მოკლამ და არც გაცოცხლებ... დამაცადე!.. დაემუქრა ბირგოლა და კიდევ მათრახი გადაჰკრა.

გასკდა შემოწუთხული კაბა და სისხლმა შადრევანსავით გადმოასხა.

ქალმა მიუშვირა ხელი, გაიესო მუჭა და პირში შეასხა სიტყვებით:

— ურჯულოო, ულმერთოო! გაძეხ ჩემის სისხლით!.. აჰა, დალიე!

ბირგოლა ამოწვდილის ხანჯლით გაექანა მაგრამ იმ დროს წამოეწივნენ ყაზახები, იმათი უფროსი და ხელიდგან გააგდებინეს ქალი.

მაშინ შეიტყო ბირგოლამ, რომ რამდენიმე კაცი მოშველებია იაგოს და ის დაჭრილი ხელიდგან გაუგდებინებიათ.

ის იქამდინ გაცეცხლდა, რომ ქოჩორს თავის ხელებით იგლეჯდა მაგრამ რაღას უშველიდა?

ძლივს ჩაიგდო იაგო ხელში და ეხლაც ვინ იცის, იქნება ცოცხალი გადარჩა? თუმცა საეჭო იყო, რომ ოც-და-ათს ერთი კაცი უვნებლად გადარჩენოდათ, მაგრამ ვინ იცის?

ის ჩქარა დაარწმუნეს, თუ დაუჯერებულეს, რომ იაგო მოკლულიც, რომ არა ყოფილიყო, ჩქარა უნდა მომკვდარიყო, რადგანაც გუფთამავეთ დაკეპილის მორჩენა ძნელიღა იყო.

ისინი საღამოზედ ამოვიდნენ სტეფან-წმინდაში, შეატყობინეს დიანბეგს, რომ იაგოს ბევრით მეტი ამხანაგები ჰყვანდა სანამ მოელოდნენ,

...დილი ბექათუბნის საზოგადოების მამასახლისზედ ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშნვა:

„თქვენს პატივცემულს გაზეთში ეწერა, ვითომც ჩვენს საზოგადოებას არ ესურვებოდეს ხელ-ახლად ამორჩევა ამ მამასახლისისა, მაგრამ პოსრედნიკის საშუალებით მაინც კიდევ აგვერჩიოს. ეს ტყუილი გახლავსთ. აი როგორ მოხდა არჩევა ბექათუბნის საზოგადოების მამასახლისისა.

„მე თვითონ იქ გახლდით არჩევის დროს. თუმცა ჩვენი გლეხის საზოგადოება უსწავლელნი ხალხი ვართ, მაგრამ არც ისე დაყრუებულები, რომ არ გავიგონოთ ჩვენი ქართული ენა: მოხელე პირების ამორჩევა ჩვენზედ არის დამოკიდებული და არა პოსრედნიკზედ; ეს ამით მაინც ვიცით, რომ როდესაც მობრძანდებიან ხოლმე პოსრედნიკები ანუ უეზდის ნაჩალნიკები მოხელე პირების ამორჩევისათვის, წინდაწინვე გვარიგებენ და გვიქადაგებენ, რომ მოხელე პირების ამორჩევა თქვენზედ არის დამოკიდებულიო და არა ჩვენზედო, მხოლოდ უნდა ამოირჩიოთო რიგიანი და პატიოსანი კაცები რო სოფლისათვის გამოსადეგი და სასარგებლო იყოს. ეს ჩვენ ხალხს ყველას გაუგონია და ესმის; მაგრამ ზოგიერთა ყრუს ასჯერაც რომ დაუძახონ, მაინც ვერ გაიგონებს, ეხლაც ისრე გახლდათ: პოსრედნიკმა მხოლოდ დარიგება მოგვცა. ყრილობამ ერთბაშად ვუპასუხეთ: ჩვენ აგვირჩევია ისევ ძველი მამასახლისი ლაცაბიძე; მაგრამ ერთმა-ორმა კი დაიძახა სხვა უნდა იყოსო. ამაზედ ბ. პოსრედნიკმა მოიტანა სია და თვითოეულად გვკითხა და მოგვაწერინა ხელი, ისრე რომ წინააღმდეგი უარის მოქმედი ამ მამასახლისის არჩევისა არ გამოსულა სულ 5 კაცი, მაგრამ ეს კაცებიც თურმე გაბრიყვებულები და ჩაგონებულები იყვნენ უცხო პირებისაგან, რომლებსაც ყრილობაში ხმა არ ჰქონდათ (ორიოდე აზნაურებისაგან). ძალიან კარგი იქნება რომ ზოგიერთა გარეშე პირები არ ერეოდნენ ამ ჩვენ გლეხის საზოგადოების საქმეებში“.

## პასუხი „დროების“ № 187 მოწინავე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელზე სტატიის ავტორს.

(დასასრული *)

ავტორს სიტყვა სასწავლებლიდგან ზარმაცი მოსწავლეების დათხოვნაზე და ჩემ მიერ მათ დარიგებაზე სიცრუეა. წელს ზარმაცობისთვის ოცდახუთი კი-არა არც ოცის ნახევარი დაგვითხვია და ვინც დავითხოვეთ, აი ამ უსტავის მუხლების ძალით: მოსწავლენი, რომელნიც სამსა და მომეტებულს საგნებში მიიღებენ 2; იგინი დაითხოვებიან სასწავლებლიდგან, ანუ დაიტოვებიან იმავ კლასში, თუ ექნებათ იმისათვის პატივ სადები მიზეზები, ე. ი. 1) თუ მათ ვერ მოასწრეს წლის განმავალობაში სწავლა ავათმყოფობის გამო, 2) თუ წინა კლასებში ერთი წლის მეტი არ დარჩენილან და 3) თუ არა აქვსთ წლოვანება გარდასული. სასწავლებლის სამმართველო მოვალეა დაითხოვოს სასწავლებლიდგან ზარმაც მოსწავლენი, რადგანაც აგეთი მოსწავლეთ დატოვება სასწავლებელში იქმნება მათთვისაც უსარგებლოდ დროების დაკარგვა და სხვებისთვისაც ადგილის დახაფვა. (**Уставы и штаты дух. семин. уч. §§ 141 и 138; заключ. уч. ком. 1874 г. § 93** მუხლი 1). თუ ეს წესები არ მოგწონსთ, ბატ. ავტორო, მათ გამომცემს მიმართეთ და რამდენიც გნებავსთ ედავეთ, ხოლო მე მათი შეცვლის უფლება მონიჭებული არა მაქვს ჯერ და ნურას უკაცრავად ვიქნები...

თქვენი დარიგება ზარმაცი შეგირდების შესახებ გასწორების კარგა შეინახეთ და სხვა დროს და სხვა პირთათვის გამოგადგებათ.

ბატ. ავტორი სწერს, რომ ზედამხედველი „სამ კურდღელს გამოჰკიდებია და ერთსაც ვერ იჭერს“ ეკონომიას, კანცელარიას და სამოსწავლო ნაწილს. „კურდღლების დაჭერისა რა მოგახსენო, მაგაში ვერაფერი ოსტატი გახლავარ, სხვაში ძალიან შემცდარი ბრძანდებით. ეკონომია მე კი არ ჩამიგდია ხელში თითონ სამღვდელოების დეპუტატთ ყრილობამ მომანდო და ამ საქმეს მე უსასყიდლოდ და, თამამად შემიძლია ვსთქვა, არა ურიგოდ ვასრულებ.

კანცელარიისათვის ჩვენ დღემდის გვყავდა და მალე კიდევ გვეყოლება ცალკე საქმის მწარმოებელი. ხოლო უჩემოთ თუ მაინც არ კეთდება ეს საქმე, აქ გასაკვირველი არა არის-რა; სისულელე იქნებოდა მის მხრით, ვინც იმ ქაღალდებს არ წაიკითხავს, რომელზედაც ხელი უნდა მოეწეროს.

სამოსწავლო ნაწილის შესახებ და საზოგადოთ დანარჩენ თქვენს ნაწერზე მე პასუხს გიგებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მომცემთ პასუხს ამ კითხვებზე: 1) რომელი ამ სასწავლებლის მასწავლებელის წაბაძვით მოსწავლეები მიეჩვევიან, სიზარმაცეს, სიმთვრალეს, გინებას, ანგარებას, კაცის კვლას და რევოლვერებით და კეტებით თრევას? 2) რომელი სახელდობრ ამ სასწავლებლის მოსწავლეები დადიან რევოლვერებით და კეტებით? 3) რომელ მასწავლებლებს რომელი მოსწავლეები დასდევენ რევოლვერებით და კეტებით? 4) რომელს სახელდობრ მასწავლებლებს აქვს ჩემთან გულ-ძვირობა? 5) საიდგან სჩანს, რომ სასწავლებლის საქმე უკან მიდის და არა წინ? 6) რა დაუდევნელობა და უწესოება დიდიხანია სუფევს სასწავლებელში და სასწავლებელს გარეთ? 7) რისთვის დღემდის არ ინებეთ ამ საქმეზე ლაპარაკი და ეხლა გამოლაშკრებულხართ? რისთვის სხვა უფრო ყურადღებას მისაქცევ საქმეებზე არასა სწერ? იცნობთ თქვენ იმ სასწავლებელს, რომელიც ორს მშვენიერს ყოვლის ფრით, რაც კაცის ფილტვებისთვის მავნებელია, შემკობილს ქუჩებ-შუაა მოთავსებული, სადაც ბაშვების სწავლა და აღზრდა ისე გაუგიათ ძალად-პედაგოგებს, რომ ოღონდ როგორმე თუნდა, როგორც წასრულიდგან ვიცით, ხუთი თითის და, მგონი, ლინეიკის დახმარებითაც სახელმძღვანელოები მოსწავლეებს გაარონინონ და მერე ნაკლასებს და კლასსებამდი თუნდ თავპირ იმტვრიონ, მათი სხეულის, სულის და ხასიათის შესახებ მზრუნველობა მინდორში გაუშვიათ? იქნება იმ ვაჟ-ბატონსაც კარგად იცნობდეთ, რომელიც სამსახურში წელიწადში თორმეტჯერ არ გაივლის, ჯამაგირი პენსიათ გადუქცევია და მისი ზედ ნადები მაზედ გადუჭარბებია. მის საქმეებში დაუდევნელობა და უწესოება ჩვეულებრივი მოვლენაა, თუ ერთობ ძვირი სტუმარი?

„ვისაც ქრისტეს სიტყვები ზეპირად კი არ დაუსწავლია, დედის ძუძუსავით შერგებია და სისხლად და ხორცად გარდაქცევია“ იგი ასე არ მოიქცევა: „რასა ხედავ წველსა თვალსა შინა ძმისა შენისასა, და დვირესა თვალსა შინა შენსა არა განიცდი?“ (სახ. მათ. თ. 7, მ. 2).

ხოლო ვისაც ქრისტეს მცნებების მაგივრად დედის ძუძუსავით შერგებია

*) „დროება“, № 195.

---

ისინი ყველანი გაწყვიტეს, ქალი, რომელიც ძალად წაეყვანათ წაართვეს, თუმცა რამდენიმე ყაზახი იმსხვერპლა ამ ბრძოლამ.

დიანბეგმა ამის და კვალად შეადგინა ქაღალდი, სადაც თავის აზრით თავისე განკარგულება ჩაუმატა და გაუგზავნა ნაჩალნიკს; იმან ეს ქაღალდი გადააკეთა თავის გემოვნებაზედ და თავის სახელიც ჩაურთო და გაუგზავნა გუბერნატორს, იმან თავის აზრით დაუმატა თავის განსაცვიფრებელი ქვეშევრდომების მოქმედება და ეს ქაღალდი, ჭეშმარიტებით სავსე მიუვიდა უმაღლეს მთავრობას, რომელმაც ყველას დაჯილდოება დაინახა საჭიროდ.

მას რად მიაჩნდა ორიოდე ყაზახის სიკვდილი, როდესაც ისეთი ავაზაკები გაწყვიტეს, როგორც იაგო, კობა და იმათი ამხანაგები?—ყაზახების [illegible] სხვა ყაზახები დაიჭერდნენ,— განა ცოტანი არიან სტანიცებში?

[illegible] სტეფან-წმინდას მოვიდნენ, ნუ[illegible] ბირგოლამ გამოართვა როგორც თავისი ოჯახობის საკუთრება და წაიყვანა შინ, თავის სახლში, რომელშიაც იმის არშაში გადასვლის შემდეგ აღარავინ მდგარა, შეიყვანა „სენაში“ (საკუჭნავო) გამოუკეტა კარები და უთხრა:

— ემანდ ეგდე ძაღლსავით, სანამ მე ამოვალ.

თითონ-კი გამოვიდა გარეთ, სადაც მოეხვია ხალხი და ანბავს ჰკითხავდა.

— რაი გიანბოთ, რაი გითხრათ? ჩავხოცეთ ძაღლებსავით და გადავყარეთ.

— აი ბედშავო იაგო! შენანებით იძახდა ხალხი.—ბრალი არაა შენისთანა ბიჭი ეგრე უსახელოდ წახდეს.

რამდენიმე ყმაწვილმა ბიჭმა იქვე ჩუმად შეჰკრეს პირობა, რომ ეხლავ წასულიყვნენ და იაგო თავის ამხანაგებით მიწისათვის მაინც მიებარებინათ.

ბირგოლა-კი ჩავიდა გახარებულს დიანბეგთან; რომელმაც აღარ იცოდა როგორ ეთქვა მადლობა ამ ხემწიფის ერთგული კაცისთვის, რომელიც ისე სამაგალითოდ ემსახურებოდა იმას და აღსრულებდა ბძანებას.

იმან ჩქარა დაითხოვა ბირგოლა, რომელიც უეჭველია დაღალული უნდა ყოფილიყო და განსვენება ეჭირებოდა.

— წადი, წადი ეხლა დაისვენე, ჩემო ბირგოლავ! და ხვალ ჩამოხვალ... თუ თემ ლაკი არ ჩამოეკიდე მაგ ხმალზედ კაცი მც—ნუ ვიქნები!

— შენი წყალობა ნუ მამიშალოს ღმერთმა. დაბლა თავის დაკვრით უპასუხა გირგოლამ და გავიდა.

კობა თავის ამხანაგებით გავიდნენ კლდის ძირობაში, სადაც შემოზღუდული ქვები ერთის მხრით, და მეორე მხრით-კი ჩამოღესილი თითქოს განგებ ჩამოთლილი კლდე კარგს სიმაგრედ და საფრად ჩაითვლებოდა. პატარა ბილიკი სიგრძით ათი თხუთმეტი საჟანი, რომელზედაც მწკრივად თითო კაცი ძლივს დაეტეოდა, უფრო ამაგრებდა იმ ადგილს.

აქ დაანთეს ცეცხლი, მობანეს იაგოს ჭრილობიანი, რომელიც რიცხვით თუმცა მრავალი იყო, მაგრამ როგორც ზეითა ვსთქვით, არც ერთი არ იყო საშიში; მოაყარეს გამამთელებელი წამალი „მელის კუდა“ და მაგრად შეუხვიეს. რასაკვირველია მარილის მოყრაც არ დაივიწყეს, რათ არ დაეხავრა.

მემრე დაინთეს ცეცხლი დააყენეს ერთი ყარაულად და დანარჩენები მიწვნენ ვისაც სად შეხვდათ გახვეულები თავთავიანთ „ყისინებში“. იაგო ჯერ გონს არ მოსულიყო და ამისთვის კობამ საჭიროდ დაინახა ღამე ეთევა იმისთვის.

ჩამოვარდა სრული სიჩუმე, რომელსაც დაარღვევდა წყლის ხუილი, რომელიც თითქოს ნანას ეუბნებოდა იქ მყოფებს.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

და სისხლად და ხორცად გარდაქცევია პირ ტყული პატრონისადმი ერდგულება და მადლობის გრძნობა იგი ძნელად რამეს დაერიდება პატრონის გულისათვის.

ქუთაისის სას. სასწ. ზედამხედველი.
ი. ქეხაგაძე.

10 ენკენ. 1882.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შისაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი


## საჭიროა ლაქია

იკითხეთ „ალაზანის“ სარდაფში, სოლოლაკის ქუჩაზე, მდ. ორბელის სახლებში.

(2—1)

ქუთაისის საქალაქო სამ-კლასიან სასწავლებლის ინსპექტორი ამით აცხადებს, რომ გახსნა ამ სამოქალაქო სასწავლებლისა დანიშნულია ამა სექტემბრის 15 რიცხვისათვის, დილის 9 საათ. (3—3)

საქალებო გიმნაზიის მეექვსე კლასის შაგირდი იაფად ამეორებინებს და ამზადებს ყმაწვილებს თავის სახლში.

ადრესი: გოლოვინის პროსპექტი, სახლის № 44, ფოჩტის სტანციის პირდაპირ. (5—3)

გამოვიდა და ისყიდება შემოკლებული

**საქართველოს ისტორია**

შედგენილი

მამსაშვილი-ცამციევის მიერ ექვთიმე ხელაძის სტამბაში ლორისმელიქოვის ქუჩაზე ქაშვეთის ეკკლესიის შენობაში

ფასი 70 კაპ.

(5—3)

ისყიდება

**ჩაი**

ძმათა კ. და ს. პაპოვების ნამდვილი ფირმისა გირვანქობით და ფუთებით.

ფასი გირვანქისა 1—40-მ. ვიდრე 3 მანეთამდის ათის პროცენტის დაკლებით—მანეთიდამ. არწრუნის ქარვასლაში, სიონის გვერდით ბ. ალხაზოვის კანტორაში. (6—2)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**დედა და შვილი**

და

**რამდენიმე ლექსი**

თ. ილია ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

ფასი 15 კაპ.

ვამლევ დღიურად და თვეობით იაფათ მებლიროვან ოთახებს, სახელად

**„ლივადია“**

გოლოვინის პროსპექტზედ.

(20—19)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

ახალი ქართული

**ქარაბადინი**

ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**სახსოვარი**

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

**მოთხრობანი**

წიგნი მეორე.

ისყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

გორში: მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

**მწყემსის სტვირი**

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის სკოლაში და შინ საკითხავად

აღაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

(10—10)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

**იგავ-არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისაგან გადმოქცეული თ. რ. ერისთვისა.

ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი


## ტაქსია

საჭმელად ხორაგეულებათა, რომელნიც ისყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებში 1 სექტემბრიდამ 1 ოკტომბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჭვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |


გამოვიდა ცალკე წიგნათ

დრამა

**სამშობლო!**

ისყიდება შავერდოვის სააგენტოში.

ფასი 60 კაპ. (20—20)

## ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**ბუნების კარი**, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი**, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Сентября 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი